


F34
1930

საქართველო უწინარეს ყოვლისა



ბერლინი.
ვამოცემა

№ 1 თებერვალი 1930წ
ფასი-40 თენივი.

რედაქცია: L. Keresselidze.
Berlin-Schöneberg
Wexstr. 62.

1431

ბერლინის თეთრ-გიორგელთა ჯქუფმა საკუთარ ორგანოს გამოცემა გადასწყვიტა. დასაწყისში ეს ყურცელი მხოლოდ ორ თვეში ერთხელ გამოვა.

ჩვენი მიზანია: 1- მივცეთ საშუალება ახალგაზრდა თეთრ-გიორგელებს და ყველა სხვა პასტიოც ქართველს თავისუფლად გამოსთქვან აზრი იმ საკითხების შესახებ, რომელნიც უამოაყენა და მომავალში უამოაყენებს ჩვენი დელა-ორგანო, პარიზის "თეთრი გიორგი." შუ დავეხმაროთ დელა-ორგანოს ჩვენი იდეების გავრცელებაში. დღევანდელი: "საქართველო უწინარეს ყოვლისა" ჩვენს მიხერაფებებს სრულად გამოსთქვამს.

ჩვენი გაცხერს ამ სიფყვების შინაარსის ძალა ყოველი ქართველის გულში ორმაგ ჩაენერგოთ. ქართველმა უნდა შეიგნოს ჩა რომ საქართველო ყველა ვერძო და ჯქუფურ ინტერესებზე მაღლა სდგას; რომ ყოველი ქართველი მოვალეა მთელი თავისი ძალები საქართველოს ბედიერებას შეხერროს.

ბედნიერება ვი შეხადმოთა მხოლოდ მტრის ბრჭყალებიდან გათავისუფლებით. არ უნდა დავივიწყოთ თუ რა პირობებში უხდე-ბა ქართველ ხაშხს ცხოვრება: ჩვენ ქვეყანაში გაბატონებული ბარბაროსი არ ინ-ლობს არც ბრალიანს; არც უბრალოს; არც მისუცს, არც ნორჩს; არც გუყვავს, არც მანდილოსანს. დღეს ქართველს გამოხა-ვალი არა აქვს: ან სხვაივრობს საქარ-თველოში და არის რუხის ყოველ უფლებს ანალიტი მონა; ან, თუ მონობას გაექცა, უნდა ღამორღეს სამშობლოს, ამშობელ კე-რას, ამშობელ ერის ძარღვის ცემას.

ბოლშევიკ-რუხისიანა ხახვიკი და და-უნდობელი მკერი თვით ბევრის მნახველ საქართველოს იხეორიასხაც არ მოხერგოთ. ხოლო იხ. ვიანტ სიძაღაგებს რომ ქართველ-თა ბრძოლა მხოლოდ ბოლშევიკების ჩინა-ადმდეგ უნდა იყოს მიმართული, აცყუებს

ქართველ ხალხს. ბოლშევიკი არის მხო-ლოდ უხახვიზრეხი განხახვიერება ჩვენი იხეორიული მტრისა, რომელიც, აგერ ხა-უკუნეზე მეტია, რაც ხპობს ჩვენ ეროვ-ნულ კულტურას და ხედილობს ადამიანთა გონებიდან ჩვენი გმირული ჩარსულის ხხო-ვნაც კი აპღავოს.

საქართველოს მკერია რუხეთი. დღეს ბოლშევიკი, მართალია უფრო მეტის ბარ-ბაროსობით, მაგრამ მაინც მხოლოდ გამ-გრძელებელია რუხეთის ჩვეულებრივ პოლი-ციკისა. ბოლშევიკების აბრამოვიჩებით, ან მილიუკოვ-კერენსკეებით, ან კირილევ-ბით შეცვლა საქართველოს რუხის ბრჭყა-ლებიდან ვერ გაართავისუფლებს.

სრული დამოუკიდებლობა რუხეთის ხახუ ელმეიყოდან-აი უმთავრესი მიზანი და ამ-რჩი ჩვენი ბრძოლისა; აი-აუცილებელი პი-რობა ჩვენი ბედნიერი მომავლისათვის.

ამ მიზნის მიხალჩევად აუცილებელია მთელი ქართველი ერის ერთმეგრძოლ არსად გა-ერთიანება.

კლახთა ბრძოლა, პარტიათა შორის ქიმ-პობა ახუხვებს ქართველ ერს, აკეთებს მტრის საქმეს. ჩამინდა გიორგი, მძლავ-რი რჩამენით, შეიარაღებული შუბით შგმი-რავს ვეშაპს. ქართველი ერი, მძლავრი თავისუფლების სურვილით, შეიარაღებული გაერთიანებით გაშგმირავს მონობას.

ღარამუნებულნი რომ ჩვენი გაბეთი ქართველთა გულში: გამოძაიარს შპოვებს, უღგებით, ჩვენი მცირე ძალებით ამ ორ-განოს გამოცემას.

--- დეო კერეხელიძე
უნდროსი.

25 თებერვალი.

25 თებერვალი.... რამდენი წაწვევა
 რა რამდენი წლები იხსორიან ამ მოკლე
 სიყვავებში. ცხრა წელიწადია რაც საქარ-
 თველო თავის ეროვნულ გოლგოთას აღის და
 ვინ იცის რძლის აივლის მას... ვინ ი-
 ცხირამდენ მსხვერპლს მოითხოვს კიდევ
 უთანახმობა ბრძოლა თავისუფლებისათვის-
 რძლის დაზოგადება ჩვენი იხსორიული შე-
 დარაობი ვითი ვადაია: არც ერთი მცერი
 არ მოხერხება ჩვენს სიყვავებში. და თუ
 არაფრის შემთხვევას მე-12-ე საუკუნეს
 უმრჩეველადები ხანა მოჰყვა; თუ მე-13
 დან ვიდრე მე-15 საუკუნემდე საქართვე-
 ლოს მავა იხსორიის მედეგი იყო საქარ-
 თველოს ხუთის კიდევ უფრო გაძლიერება,
 რომელმაც თავისი ანარეკლი ჯერ გიორგი
 სასვაშვილი, ბოლო უფრო გვიან კრწანისის
 გამორეპი შვივა და რომლის მედეგია უთუ-
 ლ მლიერა სურვილი საქართველოს პოლიტი-
 კურ გაერთიანებისა, არც ახალ ბრძოების
 შემოსევით მოხდება საქართველოს იხსორი-
 ამი უცნობი რამ. არც უკანასკნელი ბრძ-
 ლები იქნებიან გამონაკლისი მათი, რო-
 მელნიც ათეული საუკუნეები აწარმოვა ქა-
 რთველმა ერმა. "წყალნი წავლენ და წამო-
 ვლენ, ქვიშანი დაჩქებიანო." მას, რასაც
 ვერ მიაღწიეს უდიდეს კულტურის მაგარე-
 ბელმა ერებმა, რომელთა და ბიზანტიაში, მას
 რასაც ვერ მიაღწიეს უმძლავრესებმა ერ-
 ებმა, არაფრებმა და მონღოლებმა, ვერ მი-
 აღწევს ვერც რუსეთი, რომელიც ვერც კუ-
 ლტურით, ვერც ბრძოლის გრადიციებით ვერ
 შეადრება იმ ერებს, რომელნიც შეეცადნენ
 ხოლო ვერ განახორციელეს საქართველოს
 დამორჩილება. მართალია მონღოლების ერ-
 ლებს მე-12-ე საუკუნის კულტურით გაძლი-
 ერებული საქართველო ეკვითა; მართალია
 მათინდელი რიცხვით უფრო მრავალი ქარ-
 თველობა ჩვენზედ უფრო ძლიერ ძალას წარ-
 მოადგენდა, მაგრამ იქ, სადაც ბრძოლაა
 ეროვნულ თავისუფლებისათვის; იქ, სადაც
 ბრძოლაა ყოფნა არ ყოფნისათვის, - გადა-
 მწყვეტი არ არის რიცხვი. ეს არა ერთხელ
 დაამტკიცა ჩვენმა წარსულმა. "როდესაც
 ბრძოლა სწარმოებს იარაღსა და ხულის მო-
 რის; მედამ ხული იმარჯვებს." ეს წარმო-
 სტევა იმპერატორმა ნაპოლეონმა ბოლო ჩვ-
 ენმა სინამდვილემ ამ სიყვავების ჭეშმა-
 რილება საუკუნეებით უფრო აღრე დაამტკი-
 ვა. ჩვენ წინასწართა მიერ შექმნილ სახე-
 ლმწიფების ვადაშენების შემდეგ მათი
 შემბერაში ენერჯია და მოგენცია ვერ და-
 იკარგებოდა და ჩვენ, მათ შემკვიდრეთ,
 ექვევითა უმაგალითო პრიპირციით ვადმო-
 გვივა ის დინამური ძალა რომლითაც ხე-
 თის თუ ქალღეს ბრძოლის სახელმწიფო -

ებმა გიგანტური კულტურა შექმნეს. ცხა-
 იყო- ქართველი ერი იმავე იმპულსით, ი-
 ვი შეუფრეველი ბუნებით ააშენებდა თავის
 პოლიტიკურ მე-ს, როგორც ამას მიხი წი-
 ნაპრების დიადი სახელი მოითხოვდა.
 მაგრამ გრადიციულ-ხულიერ კულტურის
 შემკვირებლას ცხადია თან მოჰყვებოდა
 ის ბედი და ებედობა რომელიც ეგრე ახა-
 სიათებდა ქალღეს მკვიდრთ.
 და დღიდან საქართველოს არსებობისა
 არ ყოფილა ხანა, რომ ქართველ ერის ერ-
 თვენულ პოლიტიკური სახე საფრთხეში არ
 ყოფილიყო.
 მაგრამ ახეთია ხული ათეულ საუკუნო-
 ვან ცეცხლსა და ბრძოლაში გამორჩობი-
 ლი, ახეთია სახე შეუღრეველ ქართველი
 ერისა და ჩვენ დღეს ამაყად შეგვიძლიან
 ვსთქვათ: - მთელი ჩვენი ხანგრძლივი იხ-
 სორიის განმავლობაში არ ყოფილა შემთ-
 ხვევა როდესაც საქართველოს ხულს გზა
 დაეთმოს მფრის იარაღისათვის. არ არსე-
 ბობს ერი რომელსაც შესძლებოდა საქარ-
 თველოს დამორჩილება; არ არსებობს და
 არც იარსებებს ისეთი ერი, რომელსაც შე-
 ედლოს ჩვენი ეროვნული სახის შეცვლა.
 ერთსა და იმავე მიზეზს ყველგან და
 ყოველთვის ერთი და იგივე მედეგი აქვს.
 ახეთია ბუნების კანონი, ახეთია მათე-
 მაციკური ჭეშმარილება და თუ რუსეთის
 შემოსევას საქართველოში ისეთივე მი-
 ბეში შქონდა როგორც მონღოლეთისას;
 თუ ექი შემოსევა ისეთსავე წინააღმდე-
 გობას იწვევს ქართველ ერში რუსეთის
 მიმართ როგორც უჩინ, ცხადია მედეგიც
 იგივე ექნება როგორც შქონდათ სხვა მტ
 მფრების შემოსევებს. "ვისაც მოუკლავს
 ის მოჰკლავს...." საქართველოსათვის
 თავისუფლება არსებობის საკითხია, და
 ვიდრე არსებობს მცნება თავისუფლობისა,
 საქართველოს მოსპობა არავის ძალუძს.
 ჩვენმა თაობამ თავისუფლება მხოლოდ
 სამი წლის განმავლობაში იგემა. მაგ-
 რამ ეს ისეთი ცვილი იყო, მას ისეთი
 გარდამწყვეტი მნიშვნელობა შქონდა ერის
 მიძინებულ ნაწილზედაც ვი, რომ მცერი
 თუნდ ათჯერაც უფრო გაძლიერდეს, ჩვენ
 მაინც ქართული სიამაყით შევძახებთ:
 ს ი კ ვ დ ი ლ ი, ა ნ გ ა მ ა
 რ ჯ ვ ე ბ ა

ქვეყნის.

მკირფასო მეგობრებო, დიდის სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და თქვენს გაზეთს აღუთქვამ თანამშრომლობას. თუმცა ჯერ ყოველი არ დამიდარა და "თეთრი გიორგის" წევრი არა ვარ, მაგრამ ხელით, გულით და მთელი ჩემის ლეგენებით თანაგიგრობოთ. გიგზავნით ჩემს პირველ წერილს: "25 თებერვალი". თუ მკითხველის ყურადღების დირსია, გთხოვთ თქვენი გაზეთის თებერვლის ნომერში მოათავსოთ.

მათე კერესელიძე.

25 თებერვალი.

ემიგრაციაში აღმდროს, მე, საქართველოს დამოუკიდებლობის დროსაც, უცხოეთში მომიხდა დარჩენა.

შეღ მეტია აღწერა იმ გრძნობებისა, რომელნიც საქართველოს განთავისუფლების ამბავმა ჩემში განაღვიძა: გრძნობა ამაყი თავისუფალ მშვენიერ ქვეყნისა თავისუფალი მვილია. მსგავსი აღფრთოვანების გაღმოცემა ხომ შეუძლებელია... ძილიდან, რომელსაც დასტროლა ჩვენი ილია გვეღირსა ჩვენ გამოღვიძება. საშინელ დამის შემდეგ მზე ისევ ამოვიდა და განათა ახალი სიმშვენიერით ჩვენი მამული. ქარხული შავ სიშმრად და გვეჩვენებოდა... ვივიწყებდით კიდევ...

ქართველს კვლავ ძველებურად შეეძლო ამაყობა თავისი ეროვნებით.

რა უღრმესი პატივისცემა გვექონდა ყორღანისა... საქართველოს განმათავისუფლებლისა... იმ აღამიანის, რომელიც კვლავ ხელთ იღებდა ერეკლეს, თამარის, დავითის დროსაც - რათა /ახე გვრჩამდა ჩვენ/ თავისუფლად გაეფრიალებინა თავისუფალ მშვენიერ ქართველთ მამა-პაპული.

რა დიდი სახელის მოხვეჭა შეეძლო ამ აღამიანს!...

ეჰ!... ვის ჩაუვარდა ხელში იმ ხალხის ბედი, რომელიც 3 თუ 4000 წლის განმავლობაში გამირუღად იბრძოდა თავის სახლის, მწე-ჩვეულების და წინაპართა საკლავებით აღსაცხე ქვეყნის დასაცველად!

მასხოვს რა სიამაყით უყურებდით საქართველოს რუკას მე და ჩემი მასწავლებელი, აღუქხანდრე გომალისვილი. ჩვენ უკვე აღდგენილ მიწა-წყლით აღარ ვვამაყობოდით. ჩვენს ოცნებაში იხატებოდა ის დრო, როდესაც ყორღანია საქართველოს შემოუერთებს ჩვენი სახელმწიფოს წარგალთა გარეშე დარჩენილ ჩვენი ძმების მიწა-წყალს...

ყველაფერი აპატიო საქართველომ // რა ბევრი იყო საპატიებელი // მთავრობის ხელმძღვანელებს მარტო იმიხათვის, რომ პირველი მმართველობა ახლად განთავისუფლებულ საქართველოსი ბედმა მათ ხელთ მიხცა.

ბევრ ქართველ პატრიოტის ოჯახში, ისევე როგორც ჩვენ ოჯახში, თამარის, ერეკლეს და ილიას ხურათის გვერდით ყორღანის ხურათსაც ნახავდით...

- ყორღანია საქართველოს დაიცავს. ეს მის და ივის კიდევ რა პასუხისმგებლობა აილო მთელი ერის წინამძღოლობით.

- რუხეზი ისევ რომ თავს დაგვეცნენ?

- გვაბრძოლებს, თავს გაგვაჩირვინებს წინაპრებისამებრ.

- ვერ დაგვაბარცხებენ?

- სამოცი ათასი ჯარის ვაცის დამარცხება მძელია, როცა ის სამშობლო-მიწას იცავს, როცა ის ქართველია.

- მართლა!... სამოცი ათასი ჯარის ვაცი ხომრობა ხომ არ არის... და მერე ისიც ქართველი, დამცველი რჯულის, ოჯახის, ქარხულის, მომავლის... მამულისა!

ხუმრობას ვინ ხრივის!... დავინვა, მოცუება გამოდგა... უცხრივ მოღის ამბავი... ისეთი უცხო და სავკირველი, რომ ვერ ვიჯერებთ... რუხეზი თბილისის ახლოს არიან... თავს დაგვეხხნენ ხომიდან, აღერბეიჯანიდან, ხომხეთიდან...

მაინც ამოვიხუნოქეთ: საქართველო იბრძვის... თბილისის კართან, დიდი ბრძოლის შემდეგ, უკან დავახევირეთ ბარბაროსთა ურღოებს...

მოკლე ხნის სიხარული გამოდგა. - რუხეზი თბილსში შემოვიდნენო!... - როგორ? რა მოხდა?.. ყალბი ცნობები იქნებოიან, შეუძლებელი რამ არის!... გულს არ სჯერა ამოღენი უბედურობა... თან გონება ჰყიქრობს: ალბად უთვალავი ჯარით, ერთის წინააღმდეგ ათით, ერთის წინააღმდეგ ახით დაგვეცნენ თორემ ჩვენს დამარცხებას როგორ შეხმლებდნენ?...

და ჩემს, ჯერ კიდევ ბავშვურ, წარმოდგენაში ახი ათასობით ვხელავდი შემოსეულ ბარბაროსების ბრბოებს...

- საქართველო უკანასკნელ ვაცამღის იბრძოლებს, ყველა სიღს ააფეთქებს, ყოველ ხეს, ყოველ ბურქნარს საფრად განდის. კავკასიონის მთებშედ გაუმაგრდება მჭერს. დასახევიც ხომ არსადა აქვს... იქ უნდა შევავლათ თავი... სად ქავალთ?... ერთ საშიშღარ ღღეს მოღის ამბავი: ...ბრძოლა ვიარა, ჩვენი მთავრობა გათუმში ბრძანდება და გემებს ჰქირაობს. დაჰკრა ფეხი და დედა-ბუღიანად პა-

F11802

საქართველოს დამოუკიდებლობის დროსაც, უცხოეთში მომიხდა დარჩენა.

ბში ამოწყობ თავი....
აი იშვიათი შემთხვევა მოგზაურობისა-
ვის.....

და გზაში აღზარდ საპროპაგანდო წიგნა-
ებს სწერდნენ რომ თავისი მეურყეველი
ფილიანტროფი სულის სიმშვიდვე საერთაშო-
ნომ პაციფიზმებისათვის ამჟამად ეყოთ:

-ხომ ხელდავთ იხტორიაში ამ არ ცნობილ
აგალითს? საქართველო პირველი მაგალითი
რის სულის ახეთი სილიადისა: თითქმის
მუშო ქვეყანაში თავი შეხწირა მუშათა
წყენადციონალის ყალბ იდეალებს და მთავ-
რების პაციფიზტურ სულის კვეთებას...

სამოცი ათასი ჯარის კაცი ვი არა რა-
დენიმე ათასი უშნო გვარდიელი....აი, .
ვინი მთავრობის მიერ შეიარაღებული, მი-
აგან მოჩვენებითი მტრის წინააღმდეგ,
მირი ძალა.....

და მტერი? - ოცი ათასი თუ იქნებოდა!
რამდენიმე ახეულმა იუნკერმა, რამდენი-
მე დღით შეაჩერა ეს ძალა და , ერთი პი-
რობა, უკანაგ ვი დაახევიანა.

ეს იყო მთელი ჩვენი გამირობა. ერე-
კლენეულმა საქართველომ შეხწირა მტერს,
უხსამინეულეს დამპყრობს, ორას-სამასი
კაცი....


როგორ უნდა დავივიწყოთ? რა შეიხცი-
ლის ამ სირცხვილს?

იარალი აგვართვა იმან, ვისაც ჩვენი
ბელი, ქვეყნის დაცვა მივანდეთ. შემო-
სუულ მტერს თავი უცხოეთში შეუფარა და
დაქნაქნული ერი უპატრონოდ დახტოდა....

ათასობით გამირნი ეწირებოიან ამ დანა-
შალობის შედეგებს.

ღ ღ ე თ ა ვ ი ს უ ყ ლ ე ბ ი ს ა
გ ა ხ ა რ ე ს ღ ღ ე თ გ ლ ო ვ ი ს ა

მათე კერეხელიძე.



"ვინ ილია?"

"ზრძოლაში" პარტიული ხუნელება ვერ გა-
ახალა. გამოივა ახალი. ეს მოვლენა თავის
თავად დიდი ყურადღების ღირსი არ იქნე-
ბოდა. საინტერესოა ის იერიშები მათ მხ-
რივ, რომელსაც ახე უხდება ქართული ან-
დაბა: "ერთი დარჩა მეღახაო, მოუშავა კვე-
ნახაო".

ყოველი ქართული გაზეთი საზღვარ გა-
რეთ, ხადაც სიწყვის თავისუფლება, მეტო
ად სასიამოვნოა. სამწუხაროდ ამ "ზრძო-
ლის ხმას" გულუხვად აქვს ნაანდერძევი
მხამი და გესლი თავისი წინამორბედისა:
სხვისი ლანძვა და თავის ქება - ქარმო-
უღვენელ თავ-ამკვეთლობით.

რას იზამთ? "ავსა კაცხა ავი სიწყვა
ურჩევნია სულსა გულსა". ეს კაცუნები და
მათი პოლიტიკანობა მეტად სასაცილო იქ-
ნებოდნენ მაგრამ სამწუხარო ის არის რომ
ესენი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ილე-
ბენ მონაწილეობას და მათმა უმხგავსთ
ნაბიჯებმა არა ერთი მწარე გაკვეთილი
გვაჩვენებს. ამასვე გვიქადიან მომავალში
ამ ხალხს პოლიტიკის უბრალო ან-ბანიც არ
გაეგება და ერს შპირდება მისთვის ხრე-
ლიად უცხო იდეებზედ სახელმწიფოს აგე-
ბას.

ჩვენ არ შევხებოთ იხტორიის იმ ფერ-
ცელს, ხადაც აღნიშნულია თუ როგორ შეე-
ცადა ეს ჯქუფი, რომელსაც საქართველოს კუ-
ლტურის თუ პოლიტიკის იხტორიასთან არა-
ვითარი კავშირი არა აქვს, საქართველოს
აშენებას რუსის მეფიკისათვისაც ვი გა-
მოუღებარ ექსპერიმენტების საშუალებით.
ჩვენ ვსვამთ საკითხს: - შეიძლება

ეს ახე გაგრძელდეს? შეიძლება ერმა,
რომელმაც უმადლესი კულტურა შექქინა;
ერმა, რომელმაც დასწერა იხტორიის წი-
გნში არა ერთი ზრწყინვალე ფურცელი,
კვლავ მოითმინოს ქართველ სოციალ-დე-
მოსტრაციის ლიდერების გზა-აზნეული პო-
ლიტიკა?

აი რასა სწერს "ზრძოლის ხმა" ული-
დეს ქართველის შეხახებ: "ვინ ილია?
შოეფი თუ მეოთხმოცე ქლებისა?" ესე
კითხვის დასმა, ესე მიღგომა იმ ქარ-
ველისადმი უროპლიხოდაც მომავალი სა-
ქართველო წარმოდგენულია; ილიას და-
ყოფა "ნაწილებად" და მისი ქართველ
მშრომელ კლასის მტრად გამოცხადება--
შეუძლიან მხოლოდ ისეთ პირს, რომელიც
კარგად დიდი მანძილით არის დაშორებუ-
ლი კულტურულ კაცობრიობას და უფრო მე-
ტად ქართველ ერის ხულს.

და, საერთოდ, ის ცოწი, რომლითაც
ეს ფურცელი ილიას იხსენიებს- ილიას,
რომლის სახელი იმდენად დიდია რომ
"ზრძოლის ხმის" ავტორთა პაფარა გო-
ნება მის გაგებას ვერ შეხმლებს, ეკუ-
თვნის იმ ზანავს, რომელიც ილიას სიკ-
ფილს მხიარულად შეხვდა.

და თუ დავს, რომელსაც თითქმის 25
წელი გავიდა მან აქეთ რაც ქართველმა
ერმა, ჩვეულებრივის რომზიერებით მკე-
ლელთ პახუნია არ მოხთხოვა, სოციალ დე-
მოსტრაციის ლიდერებმა-ჩვენ ვამბობთ
ლიდერებს ვინაიდგან ვეიქრობთ: -ხოცი-
აღ-დემოკრაციის მახსა ამ შემთხვევაში
მახნვ არ დაუჭერს "ლიდერებს" მხარსა

ხმა აღიმაღლებს და ეროვნულ საფლავსდა ეროვნულ საფლავს ბინძური ენით ეხებოიან. ეს ახე თამამად ჯერ ვერც კომუნისტებმა გაბედეს. ილია საერთო განძია: ერისათვის თუ ბერისათვის, როგორც ქართველ მუშისათვის, ისე ქართველ მხედრისათვის და საერთოდ ქართველ საზოგადოების ყველა იმ წრისათვის, რომელსაც ერი უყვარს.

თქვენ ამას ვერც გაიგებთ. არც არის საჭირო. ყალბ ინტერნაციონალურ იდეებზედ აღმზრდილ ფუნისათვის ილიას ეროვნული და საერთაშორისო აზრები მეტად რთული უნდა იყვნენ.

ეს ვინც ქართველ ერისათვის თავდადებული ჩავიდა საფლავს..... ვინც ცოცხალია?—"მაბეჭდარა, თავადი, რეაქციონერი რუსის გენერალი" და ვინ იცის კიდევ რა? ვინ იცის კიდევ როგორ მონათლავს "ბრძოლის ხმა" მათ, ურამულთადაც საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე ფრიალ ხანგრძლივ მუდგინებდნოდა. მაგრამ ესეც მველი წესია: შეერთებული იერიშები ქართველ მამულიშვილების წინააღმდეგ. ეს ტრადიციული გზა მენშევიკ-ბოლშევიკებისა და იქ, ხალხს რამე ეროვნულის წინააღმდეგ იერიშია მისაფანი, ეს ორი მამა ერთად არიან. სოციალ-დემოკრატიის ბელადები ზღნავ არ შეეცდოდნენ: "არ გათეთრების ყორანი რაგინდ რომ შებნო ქვიშითა".

სახანცილოა ის ბავშვური გულუბრყვილობა რომლითაც "ბრძოლის ხმა" საქართველოს საკითხს ეხება.

ერი გამოდის "მსოფლიო მარაგზაზედ" არა ამა თუ იმ პოლიტიკურ წესწყობილების წყალობით, არამედ თავისი წარსულის, ეროვნულად განვითარებულ კულტურის, ხანგრძლივი სახელმწიფოებრივ განვითარების წყალობით. ცხადია ეს ანბანი "ბრძოლის ხმისათვის" სრულიად უცნობია. საქართველოს სავაჭროსად დიდი წარსული და დიდი კულტურა აქვს, რომ მას ვინამე და მეტად რე თქვენი "რეკლამა" სწორედ ბოლშევიკებს.

"ბელადურები დაიხოსნენი...." ნათქვამია. რად გინდათ შიითა, რად გინდათ ილია, რად გინდათ ისტორია, რად გინდათ კულტურა-მეორე ინტერნაციონალი ისედაც ჩაგაკრავთ გულში..... და გაკეთდა საქართველოს საქმე.....

მერე როგორ გხურთ "ლიდერები" რომ შეეცდეთ ამ მვირკვან სტუქსანს საქართველოშია? იქ, ხალხს ნაწამები საქართველო ხელიდან ხელში გადადის "სხვანაირ სოციალიზმის" ახანგრძლივ საჭირო ხალხს ხომ ვერარ გაომონახავთ... ხომ აღარ იქნება არავინ: არც ქართველი "როხოსნები" -/ალბად რუსული პადიოკვა უფრო ეგუება ჩვენ ქართულ სულს.../- არც მუშა და გლეხი, რომელნიც ნაკლებ ხანდო ელემენტები არიან "ლევია-

ანონურობა- /იგი მატარებელია ეროვნულ ტრადიციებისა/- და, შეიძლება არც სოციალ-დემოკრატიული მანხა, რადგან ის თავისი "ლიდერებს" სამოქალაქო ომში მხარს არ დაუჭარს

ლიალ, ბავონებო, ის, ვინც დღეს კომუნისტების ხელში იტანჯება, ვერც თქვენთან შოკებებს ნუგემს. თქვენ ვერ მოუღობთ მათ ეროვნულ ტრილობას. რაგინებთ მხოლოდ თქვენი ღოგმა და ისე ჩაწვალთ საფლავს რომ ვერას გაუგებთ ქართველ სულს, ვერ შეიგნებთ ქართველთა კულტურას. ვერ გაიგებთ თუ რა მნიშვნელობა შექონდა ტრადიციულ-კოჯრის ველზედ ბრძოლას; - ვერ გაიგებთ თუ რით მოიწანა თავი საქართველომ დღემდე, მიუხედავად იმისა რომ მთელი ცალკა აზიიდან წამოსული მხოლოდ მის მკერდს ეხლებოდა. ლიალ, ეს არის სული ქართველთა. თქვენ- თქვენი ღოგამებთ ვერ შეხვდით მას, როგორც ვერ შეხვდა მონოლოთა სამიშროებამ; როგორც ვერ შეხვდა სამოც-საუკუნოვანმა ბრძოლამ ურაცხვ მტერთა წინააღმდეგ. ამ სულით აღიშარდა ილია, ეს სული ახლად ჩაშტერა ილიამ ქართველ ერს; ამ სულით იბრლება დღევანდელი საქართველო, რომლიდანც ეგებომ დიდი მანძილი გაშორებთ. თქვენ პირველმა გამოუწხადეთ მას ომი. ვნახოთ. თქვენ, თქვენი ღოგამებით- ჩვენ ჩვენი ილიათი.....

სოციალ-დემოკრატიის ბელადები ნიღაბს ველარ იმაგრებენ. ან როდემდის უნდა შიშალოს ამ ანუსიამ თავისი სახე? იგი ფრიალ გაშიშვლებული ხდვას ჩვენი სინამდვილეს წინაშე, როგორც იდეურად ისე მნიშვნელოვად; იგი დიდ საფრთხეს აღარ წარმოადგენს ქართველი ერისათვის, რომელმაც ეროვნული გაერთიანება დაიწყო, რომელიც მიშხვდა თუ რა მვირკვანხი ყოფილა ეროვნული გზა.

ეს არის რომ ახლებს ისედაც გახელებულ სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს. მაშხვდნენ რომ მათ თავიანთი როლი, ავად თუ ვარგად, უკვე გაიფანამაშეს, მაგრამ უკანასკნელ მაღ-ლონეს იკრებენ და მთელი ძალით გაიძახიან:

"ვინც სოციალ-დემოკრატია "ლიდერებთან აქ არის სი კომუნისტების ბანაკშია"-ო.

სინამდვილემ კი არა ერთხელ დაგვარჩაუნა რომ უახლოვესი გზა ბოლშევიკებისაკენ სწორედ ამ ლიდერთა მომხრეების ვარკებიდან მიდის.

ა.ი.

25 თებერვალი.

ეს დღეა - დღე მწარე გოდების და ვა-
ელების, რომელიც მრავალ-შანჯულ საქარ-
თველოს, ხუთ მოკლე თავისუფლების შე-
დეგ, ჩრდილოეთის ფლანქმა ძალამ თავს
დააფენა.

ეს დღეა, როდესაც რუხის მაჯლაჯუნა
ხული, ვით სიკვდილი, საქართველოს კვ-
ლავ მოევიდინა, რათა სიხსლით გაუმამლა-
რმა ახალი და ახალი მხსვერვლი შეიჩი-
როს.

მან არ იკმარა 117 წლის განმავლო-
~~ბანი სამშობლოს სამხსვერვლით~~ ~~დახლი~~
ზით თავდადებულთა სიხსლი და როდისაც
გვეღირსა, ამდენი ხნის ფანჯვა-წვალე-
ზის, შეურაცყოფის და აჩიოვების შემდეგ
თავისუფლად ამოხუნთქვა. კვლავ ჩაჰკრა
თავისი მახვილი იხელავ უამრავო ჭრილო-
ბებისგან მოუშუშებელ ქართველ ერის
სხეულს. მაგრამ, განა ერთი ან ორი ასე-
თი ჭრილობები აუფანია ქართველ ერს?
ჩვენი იხსორია. სავსეა ასეთი მაგალითე-
ზით, მოყოლებული ასურეთ-ბაბილონის დრო-
იდან და კიდევ უფრო ადრე, ვიდრე დღემ-
დე. და განა ქართველ ერს მოუდრეკია ქე-
დი ამის წინაშე? - არა, არადროს! სი-
ცოცხლის ძალა მიხი სხეულისა აღემაფე-
და სხვა ერების ძალას. მიხი წყლული არ-
ადროს და ირქებულა, - როგორც ეს ბევრ
ძლიერ ერსაც ვი დაემართა, რის გამოც
ზოგი მათგანი ან სრულიად აღიგავნენ ამ
ქვეყნიდან და, ან თუ არსებობას განა-
გრძობენ, კულტურულად და პოლიტიკურად
არარაობამდის დაემკნენ.

გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი, ერთ დროს
ძლიერი მეშობლები: ასურეთი და ბაბილო-
ნი, რომელნიც დიდი ხანია იხსორიას ჩა-
ბარდნენ; ან სპარსეთი და მონღოლეთი,
რომელნიც დღეს თავის მველი სიძლიერის
აჩრდილსაც ვი არ წარმოადგენენ.

მათ ვერ გაუმღეს იხსორიის ქარიშხ-
ლებს და დაიმსხვრნენ. ხოლო, სამშო-
ბლო დიდი თამარისა, დავითის, ვახტან-
გის, ვაჟარა ვახისა; სამშობლო ალექ-
სანდრე ზაფრონიშვილისა, გიორგი და ვაა-
ფა სააკაძის, დიმიტრი თავდადებულის,
მოთასი და ილიასი - ვის ძალუმს ამ დიდ
ქართველების მკირფას სახელების მოთვლა?
- რომელნიც ხულით და ხორციით სამშობლოს
მფლად დაედგნენ, სიცოცხლის დროს ქარ-
თველ ერის ბედნიერებისათვის მოუღალა-
ვად იბრძოდნენ და სიკვდილიც მისთვის
მიიღეს, - ამ ბუმბერაშ პირთა გმირ ერის
და სამშობლოს მოსპობა და განიავება გა-
ნა შეხამლებელია? რომ არა - ამას გვიმ-
ტვიცებს მიხი 4000 წლის იხსორია. ამ
ხნის განმავლობაში მას ხმალი ქარქამში

არ ჩაუგია. იცავდა სამშობლოს "25 თე-
ბერვლის" განსაფლვისაგან. ამხსვერვლა
მონობას. არ შეუძინდებდა საქართველო
არც 25 თებერვალს 1921 წლისას, არ წა-
იჩიქებს არც მის წინაშე. ეს უდრეკი რწ-
მენაა ყოველ მტვიცვე, ხულით და გრძნო-
ზით ხალი ქართველის. დაავადებულთ-კი,
ქართველ ერის ხულიდან დაშორებულ უიმე-
ლოებს, რომელთა მოღვაწეობა ჩვენი ერი-
სათვის საბედისწერო გამოდგა, ერი ან-
გარიშს არ გაუწევს. უცხო კულტურის მო-
ნებმა "არ იცოდნენ თუ რასა იქმოდნენ".
მათ ქართველი ერი თავის ბედს არახოდეს
აღარ მიანდობს. ხოლო, გამოყენებს რა
მათ ნამოქმედარს მწარე გავკეთილად, უფ-
სკრულისავენ თვალ-ახვეული აღარ წავა.

რაც მოხდა, მოხდა ერთხელ, საკმარის-
სია. მეორედ აღარ უნდა გამოვრდეს. ინ-
ფერნაციონალური სოციალიზმი ქართველ-
თათვის უცხო ხენია. ის მას ვერ შეეგუ-
ებია. დაღუპვის კარამდე მიიყვანს.

ჩვენი სოციალისტები ქართულ კულტუ-
რად რამ აღზრდილიყვნენ, ქართველ ერს
ინფერნაციონალიზმის და პაციფიზმის სა-
ექსპერიმენტო მასალად არ გახდიდნენ.

საქართველო აჩიოვებულია. ერი საკუ-
თარ შვილთა სიხსლის მორევში სხურავს.
მას შველა უნდა... ვინ არის მხსნელი,
რომელიც შეხამებს საქართველო ჩრდილოე-
თის ჯოჯობეთს ბრჭყალებიდან გამომავლი-
ჯობს? სოციალისტთა ყოფილი "ბელადები"?
ლაპარაკიც ბედმეცია. მათი ნამოქმედა-
რი ცხადია. აქ წერტილი დავსვათ. უცხო-
ეთის ესა თუ ის ძალა? მათ ჩვენთვის არ
სცალიანთ. ქართველი პოლიტიკური ესა
თუ ის პარტია? ცყუილი იმედი. საკუთარ
პარტიას ვერ უვლიან. მამ ვილა და გვრჩა?
და გვრჩა ის, ვინც იხსნა საქართველო
არაბეთის, მონღოლეთის, სპარსეთის ან
რუსეთის ახ ჩვიდმეც წლისამ მონობისაგან
ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი.

დღესაც მხოლოდ მას ძალუმს დაამხსვ-
რიოს საქართველოს ბორკილები.

გამარჯვება მას დარჩება, თუ ჩვენში
მამა-პაპური ხული კვლავ გაიდვიძებს,
ჩვენ ძარღვებში მათი მამაცი, რაინდი
სიხსლი ამომრავდება და ერთი ყველასა-
თვის, როგორც ყველა ერთისათვის, შე-
ვებშით მტერს უდრეკი გადაწყვეტილებით:
თავისუფლება ან სიკვდილი.

ახე მოხდება. ჩვენი 4000 წლის გმი-
რული იხსორია ამის თავდება.

მამ მედგრად წინ, თეთრი გიორგი,
კულტი საქართველოსი იქნება ჩვენი მფა-
რველი.

მვირყახნო ახალგაზრდა ქართველნი.

თქვენ გხუროთ გაზეთისათვის წერილი დაგიწეროთ. უარს ვერ გეყვით. ხოლო, რის შეხახებ? საპროგრამო წერილს ვერ მოგაწვდით, რათგან თქვენი მიმართულების წევრი არა ვარ, თუმც ღრმად თანაგიგრძნობთ. ყოველი გულწრფელი პატრიოტული მიმართულება მვირყახნო საქართველოსათვის, ამიტომ მვირყახნო ჩემთვისაც. სულით და გულით უხურვებ თქვენ მიერ დაწყებულ საქმეს გამარჯვებას.

საქართველოს მომავალი თქვენა ხართ, თქვენა ხართ ახალგაზრდობა. ახალი თაობა.

ჩვენმა თაობამ ვერ მოუარა ჩვენს ქვეყანას. ინტორიულ მოვლენათა ძალით განთავისუფლებული საქართველო ვერ შეგინახეთ. თუ დღეს ქართველი ხალხი უმაგალითო ჭანჭვას განიცდის; თუ თქვენ იძულებული ხართ უცხო ხალხში იზრდებოდეთ; თუ თქვენი ძმები რუსის მიერ გაღრქნილ სკოლით, მოწამლულ აფმოსფერით იჩაგრებიან--ჩვენი თაობის ბრალია. ვერ დავიცვით სამშობლო, ჩაგიქერო ვერა.

რა იყო ამისი მიზევი? უმთავრესად ის რომ ჩვენ თაობაში არ დავიცვოდა ინტეგრალური გრძნობა ქართველ პატრიოტიზმისა.

ხანგრძლივად მონობამ, რუსის ავადმყოფ გავლენამ შეჰრყვნეს ჩვენი გრძნობა, ჩვენი აზროვნება, ეროვნული თავმოყვარეობა. ჩვენი თაობა გამოსავალს ვხედავდა ან რუსეთის "გაღმავრებაში", ან, უკიდურეს შემთხვევაში, "რუსეთიდან განუყოფელ" საქართველოს ავტონომიაში.

ამ პოლიტიკურ "იდეალებით" იკვებებოდა ჩვენი თაობა. ღარიბი სულით, ღარიბი იყო გრძნობით და მიხრწაფებებით. ჩვენი თაობის "პატრიოტულ" ნაწილს //და იყო ისეთი ნაწილიც, რომელიც პატრიოტიზმს "ღიღი იდეალების" დაღაჯად და სამარცხვინოთ სთვლიდა// ილიას და აკაკის ნაწერები უყვარდა და აღიღებდა, ხოლო ვერ შეეგნოთ თუ რა სურდათ მათ, რას გვასწავლიდნენ.

სეპარატისტთა პატარა ჯქუფი ჩვენი თაობის დიდმა ნაწილმა ავანტურისხად მიიხატა და, დამოუკიდებლობა რომ განხორციელდა, ერთი დეპუტატი საქართველოს პარლამენტისა თურმე ამ ჯქუფს "ღაღა-ტისათვის" ხასამართლოთიცი კი ემუქრებოდა. მის წარმადგენაში საქართველოს და რუსეთის ინტერესები საქართველოს რუსეთიდან დამოუკიდებლობის ღრმხაც კი განუყრელნი იყვნენ.

ჩვენი თაობა იყო ნახევრად პატრიოტი და ამიტომ ნახევრად მეგრძობი სა-

ქართველს ხაბედისწერო საკითხების გადაწყვეტის ღრმს. და, აი, ვერ დავიცვით ეროვნული ოჯახი. ავანტირეთ დედა, ცოლი, მამა, შვილი ქართველისა. მამით შევმოხეთ ერი. ვინ იცის ქართველთა რამდენ თაობას ამიმე ლოდათ დააწვება ჩვენი დანაშაულობა?

ცხადია, საქართველოს ახლად გახანთავისუფლებლად ჩვენ ვერ გამოვდგებით. სხვა ხალხია საჭირო: სხვა გრძნობით, სხვა შეგნებით, სხვა იდეალებით აღჭურვილი.

წამოიზარდა, მწიფდება ახალი თაობა, ახალი ქართველობა. ის თაობა, რომელიც განთავისუფლდა რუსეთის რახიფულ ინტელიგენციის გავლენიდან, რომელმაც სიყრმეშივე იგემა დამოუკიდებლობის გემოვნება, რომლის თვალ წინ მოხდა საშინელი კატახსტროფა, რომელიც მოწამეა ქართველ დედის მწარე ცრემლების, ურიცხვ მამულიშვილთა თავგანწირვისა.

თქვენი თაობის გრძნობა პატრიოტიზმისა სულ სხვა ხიღრმისაა, სულ სხვა ძალია. თქვენ უყრო მტკიცე მეგრძობლი ხართ ერის თავისუფლებისათვის.

თქვენ არა გრწამთ ის ყალბი მოძღვრებანი, რომელნიც ჩვენ თაობას სწამლავდნენ: ვითომ შეხადლო იყოს ერის ამა თუ იმ ნაწილის ბედნიერება, როდესაც მთელი ერი განიცდის მონობას, ჭანჭვას. თქვენ არა გრწამთ თითქო ერის ერთი ნაწილის ინტერესები იმავე ერის მეორე ნაწილის ინტერესებს ჭოველთვის და ყოველ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდნენ. თქვენ იცით რომ ერს ერობა, და მაშახადამე ბედნიერი არხებობა, ძალუძს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერის მთელი შემადგენლობა ერთი მიზნისაკენ მიიღწვის: -თავისუფლება, თავისუფლების დაცვა. თქვენ იცით რომ ერისათვის უუღიდეხი ბოროტება არის სამოქალაქო ომი.

თქვენ ჩვენზე უკეთესად გამონახავთ განთავისუფლებისათვის საჭირო გზებს.

საქართველოს მომავალ სახელმწიფოსაც ჩვენზე უკეთესად ააშენებთ. თქვენ მოწამენი ხართ ღიღი ექსპერიმენტებისა. თქვენ იცით რომ ის სახელმწიფო, სადაც ერთი კლასია ერის დანარჩენ ნაწილებზედ გაბატონებული- არის მხოლოდ იარაღი ერის წამებისა. სახელმწიფოს ერთად ერთი მიზანი არის ერის ბედნიერება. როდესაც ის ამ მიზანს გაღუბვევს, იქვეცა ტირანთა და დესპოტთა იარაღად ერის წინააღმდეგ. სრული თანახწირობა ყველა მოქალაქისა, რა კლასს, რა ხარწმუნოებას, რა მიმართულებასაც არ უნდ ეკუთვნოდეს, იქნება ის ქართველის თუ სხვა ტომის მთამომავალი.

საქართველოს პარლამენტი

კულტურული ვაცობრიობა ვაცხასტროფის
მეღეგებიდან თავისუფლება. ბევრი იღეა
და მოძღვრება ვაცხასტროფის წინ ჭეშმარი
ტვებათ აღიარებულნი, სინამდვილემ მცვრად
აქვია. იქმნება ახალი ცხოვრება, ახალი
ნორმები. თქვენ, თქვენი ჭაბუკი ინსტუი-
ციით, ჯერ მოუღლეო ცნობის-მოყვარეობით
უფრო აღვიღად აუღებთ ალღოს. იძიეთ, ის-
წავლეთ, შეისმინეთ. ყველა ეს ახალ სა-
ქართველოს ახაშენებლად გამოგადგებათ.

საქართველოს წარსული იციო და გიყ-
ვართ მეტად ვიდრე ჩვენ თაობას. ქარ-
თველთა საუკუნეებით შექმნილი მწე-
ჩველება, ადათი, კულტურა საამაყოა
თქვენთვის-//ჩვენი თაობა ხშირად სახა-
ცილოდ იგდებდა//. ქართველ ცხოვრებას
შეუფარდეთ ყველა ის კარგი, რასაც სხვა
ქვეყნები ჰქმნიან და ააგებთ ბედნიერ
საქართველოს.

ჩვენი თაობის იხტორია გაკვეთილად
გამოგადგებათ. თუ რომელიმე ჩვენგანი

მოეხწრო საქართველოს აღდგენას, თავისი
გამოცდილებით დაგეხმარებათ. დიდი გა-
მოცდილება აქვს ჩვენ თაობას: ბევრი
უნახავს, ბევრი უბრძვია, ბევრი გადა-
შხელია. გვაკლდა გრძნობა ინტეგრალური.
"საქართველო უწინარეს ყოვლისა" არ იყო
ჩვენი ხელმძღვანელი. სხვა "ლოზუნები",
სხვა იდეალები სწორილავდნენ მას.

ღღეს ჩვენი თაობაც მიშხვდა ჩადენილ
შეცდომებს. მრუ თავმოყვარეობა ხელს უშ-
ლის საჯაროდ აღიაროს, გამოხწორება არ
ძალუძს. ათეულ წლებით შემუშავებულ ხელს
ვერ შეხვდვის მოხუცებულობაში.

მომავალი თქვენია. საქართველოს
იმედი თქვენა ხართ. არ გაუმცყუნოთ.
ილიას ხული შბაფონობს თქვენს ხულს,
თქვენ მისწრაფებებს. მიშყევით მას.
სწორე გზაზე გაყვანოთ.

გ. ვ...

მკითხველს.

შევაღვინემ ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი. ავაწყეთ. ისტამბე-
ბა. გულდახმით გადავიკოხეთ. გულწრფელად ვაღიარებმ მკითხველის წინაშე:

ვხედავთ ამ ნომრის სიხუსტეს. ბევრი ჩვენგანი პირველად ხწერს ბეჭვლისათვის.
გამოუცდელიობა ბევრი ნაკლის მიზეზია.. მკითხველი გვაპატიებს. ვთხოვთ ყველას
შეცდომებზე მიგვითითოს. მადლობელი ვიქნებით. გვხურს გაზეთის მედამ გაუმჯობე-
ლობა. დროს და ძალას არ დავაკლებთ. გვხურს გულახდილად ველაპარაკოთ ქართველო-
ბას: აუხხნათ ჩვენი ხურვილები, ჩვენი მისწრაფებანი, ჩვენი ცვივილები. ადგილს
დაუემოთ ყველა პაფრიოფს რა მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდეს. თეთრ გიორგის
უყვარს ყოველი ქართველი.

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ გ-ნ გიორგი კერესელიძეს იმ გულწრფელ დახმარე-
ბისათვის, რომელიც მან ამ გაზეთის გამოცემის დროს გაგვიწია.
რედაქცია.

Thethri Giorgi Verantwortlicher Redakteur
L. Keresselidze
Berlin-Schöneberg Wexstr. 69